

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ადმასრულებელი საბჭოს
სხდომა
თელავი**

3 ნოემბერი, 2007 წელი

სხდომის დაწყების დრო: 11:12 სთ.

სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები და სხვა პირები:

კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), რუსუდან პიტავა, დავით ასათიანი, როინ მიგრიაული, ზურაბ ტაბიძე, ჯონ ბრაუნი, ირინა ლორთქიფანიძე, ირინა ჯაფარიძე

სხდომის თავმჯდომარე: კახა ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მოწვევის საკითხი.
- საქართველოს კანონში „ადვოკატთა შესახებ“ შესაცვლელია ქვორუმის მარეგულირებელი ნორმა, რომლის თანახმადაც ცენტრალიზებულ ერთიან საერთო კრებაზე, რომელსაც ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, ხდება გადაწყვეტილებების მიღება ხმათა უმრავლესობით. რეკომენდირებული ფორმაა ასოციაციის სტრუქტურის შექმნის სექტორების მიხედვით, რომელთა ტერიტორიაზე რეგისტრირებული ადვოკატები ერთსა და იმავე დღის წესრიგს განიხილავენ რეგიონალიზებულ საერთო კრებაზე (სამუშაო ვარიანტი);
- ადმასრულებელი საბჭოს კომპეტენციას უნდა დაექვემდებაროს არა მხოლოდ ტესტირების პროგრამის, არამედ ტესტირების წესის დამტკიცება, რათა შესაძლებელი გახდეს პროფესიაში გამოცდის ჩაბარების გზით დაშვების სტანდარტების ამაღლება (გამოცდის გართულება);
- ადმასრულებელი საბჭოს თანხმობას და არა საერთო კრების გადაწყვეტილებას უნდა დაექვემდებაროს ასოციაციის ბიუჯეტის განკარგვა 10%-ზე მეტი ოდენობით;
- კანონით საბჭოს უნდა განესაზღვროს კრიტერიუმები, რომლებთან მიმართებითაც შეძლებს გასაწევრიანებელი პირის შესაბამისობის განსაზღვრას გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას

სხდომა გახსნა აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარემ.

თავმჯდომარეს განმარტებით კრების არსებობისთვის ყველაზე მთავარია ის, რომ კრება იყოს გადაწყვეტილებაუნარიანი. ამისათვის აუცილებელია საქართველოს კანონში „ადვოკატთა შესახებ“ ცვლილება, კერძოდ, წევრთა ნახევარზე მეტი ხმა იყოს საკმარისი სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღებისთვის ამ ცვლილებამ არ უნდა დააზარალოს კრების ლეგიტიმურობის საკითხი. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება პარლამენტს.

განხილულ იქნა ისრაელის ადვოკატთა ასოციაციის მოდელი, სადაც რეგიონული კრებების მიხედვით ხდება გადაწყვეტილებების მიღება, საბოლოოდ რეგიონული გადაწყვეტილებების დაჯამება განსაზღვრავს საერთო გადაწყვეტილების მიღებას. (500 ხმა იყოს გადამწყვეტი).

გემოიკვეთა განსხვავებული აზრი – პირველ რიგში უნდა დაზუსტდეს თუ რომელ რეგიონში რამდენი ადვოკატია და მაგ. 10 ადვოკატზე არჩეული იყოს ერთი დელეგატი. აღნიშნულის კოორდინირება დაევალება აღმასრულებელ საბჭოს. საბჭოს წარედგინება ხელმოწერილი ოქმი, სადაც დაფიქსირებული იქნება თუ რამდენია მომხრე და წინააღმდეგი.

არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი – საერთო კრების მოწვევა სპეციალიზაციის მიხედვით. ერთიდაიგივე დღის წესრიგით ჩატარდება კრება სამივე სპეციალიზაციით ცალცალკე. თუ წევრთა ნახევარზე მეტი მიცემს ხმას გადაწყვეტილება ჩაითვლება მიღებულად. არსებობს ერთი მოსაზრება ბოლო ორ მოდელთან დაკავშირებით, ორივე შემთხვევაში ამომრჩევლებს წინასწარ ეცნობებათ კანდიდატების ვინაობა და თითოეულ კრებაზე კანდიდატები გამოცხადდებიან იდენტური პროგრამით.

დასახელდა უფრო ქმედითი მექანიზმიც, რომლისთვისაც აუცილებელია იმის დადგენა, თუ რა პრინციპის მიხედვით იქნება დიფერენცირებული წევრთა რეგისტრაცია, ტერიტორიული ნიშნით თუ საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის მიხედვით.

ყველა შემთხვევაში ხელმოწერა დადასტურებული უნდა იყოს ნოტარიუსის მიერ.

საერთო კრება ჩატარდება რეგიონალური პრინციპით აღმოსავლეთი, დასავლეთი, თბილისი. განისაზღვრა კრების სავარაუდო თარიღი.

პარალელურად მომზადდება ცვლილებათა პროექტი.

აღნიშნულ საკითხთა განხილვისას საბჭო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პირველ რიგში უნდა შევიდეს ცვლილება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში, რადგან ცვლილებების გარეშე კანონი არ იძლევა კრების ჩატარების შესაძლებლობას.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები და ღამატებები:

1. კანონის მე-11, 22-ე, 23-ე, 24-ე, 25-ე, 27-ე, 28-ე, 29-ე, 31-ე, 37-ე, 39-ე, 42-ე და 44-ე მუხლებსა და სათაურში სიტყვები „ასოციაციის საერთო კრება“ შეიცვალოს სიტყვებით „ასოციაციის კრება“.
2. კანონის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტიდან ამოღებული იქნას სიტყვები „და მისი სტრუქტურული დანაყოფების დებულებებს“

3. კანონის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებული იქნას “გ”, “ვ”, „ზ“ და „ლ“ პუნქტები
4. კანონის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის „მ“ პუნქტს დაემატოს შემდეგი სიტყვები: “რომელიც არ განეკუთვნება ასოციაციის კრების, ეთიკისა და სარევიზიო კომისიის უფლებამოსილებას”.
5. კანონის 25-ე მუხლი შეიცვალოს და მისი სათაური და შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„მუხლი 25. ასოციაციის კრების დელეგატთა არჩევა

1. ასოციაციის კრება ტარდება ადვოკატთა მიერ არჩეული დელეგატების მონაწილეობით. დელეგატთა საერთო რაოდენობა შეადგენს ადვოკატთა სიითი შემადგენლობის მეათედს. თუ მიღებული ციფრი უნაშთოდ ათზე არ იყოფა, მაშინ დელეგატთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება ერთით მეტი დელეგატით.
2. დელეგატი აირჩევა დელეგატთა ასარჩევ კრებაზე ტერიტორიული პრინციპით, ადვოკატის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
3. დელეგატთა ასარჩევი კრება ტარდება სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით. ხოლო თბილისში იგი ტარდება ორ ნაწილად თბილისში მცხოვრები ადვოკატების მონაწილეობით, აღმასრულებელი საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.
4. აღმასრულებელი საბჭო ორგანიზებას უწევს დელეგატთა ასარჩევი კრების ჩატარებას და განსაზღვრავს მისი ჩატარების დროსა და ადგილს.
5. დელეგატთა ასარჩევი კრება ირჩევს კრების თავმჯდომარეს, მდივანს და ხმის დამთვლელ კომისიას არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. მათი არჩევა ხდება ღია კენჭისყრით.
6. ასარჩევ დელეგატთა რიცხვი განისაზღვრება კრებაზე დამსწრე ადვოკატთა რაოდენობის პროპორციულად შემდეგი შეფარდებით: ათი ადვოკატი – ერთი დელეგატი. თუ დამსწრე წევრთა ადვოკატთა რიცხვი ათზე უნაშთოდ არ იყოფა, მაშინ დამატებით აირჩევა ერთი დელეგატი.
7. დელეგატობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს დელეგატთა ასარჩევ კრებაზე დამსწრე ადვოკატს. დელეგატად დასახელებული შეიძლება იქნას მხოლოდ კრებაზე დამსწრე ადვოკატი.
8. დელეგატი არჩეულად ჩაითვლება, თუ იგი მიიღებს კენჭისყრაში მონაწილე ადვოკატთა მეტ ხმას. თანაბარი რაოდენობის მიმღებ დელეგატებს შორის, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ დელეგატთა რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.
9. დელეგატთა არჩევა ხდება ღია კენჭისყრით.
10. დელეგატთა ასარჩევი კრების მსვლეობასა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე ღვება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი. ოქმს ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო.
11. ასოციაციის კრების გადაწყვეტილება უნარიანობის უზრუნველსაყოფად აღმასრულებელ საბჭოს უფლება აქვს რამდენჯერმე მოიწვიოს დელეგატთა ასარჩევი კრება.
12. დელეგატის უფლებამოსილება იწურება ასოციაციის კრების დამთავრებისთანავე“.

6. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 25¹ მუხლი:

„მუხლი 25¹. ასოციაციის კრების მოწვევა და ჩატარება

1. ასოციაციის კრება იმართება წელიწადში ერთხელ.
2. ასოციაციის კრება მოიწვევა მისი მოწვევის შესახებ განცხადებისა და დღის წესრიგის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 60 დღისა.
3. ასოციაციის კრებას იწვევს ასოციაციის თავმჯდომარე. ასოციაციის რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის უფლება აქვს ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელ საბჭოს, ეთიკისა და სარევიზიო კომისიას, აგრეთვე ასოციაციის წევრთა არანაკლებ მეთედს.
4. ასოციაციის კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. თუ კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, მაშინ ასოციაციის თავმჯდომარე ორ კვირის ვადაში მოიწვევს ასოციაციის კრებას იმავე დღის წესრიგით.
5. ასოციაციის თავმჯდომარე და აღმასრულებელი საბჭოს წევრები ასოციაციის კრებაზე სარგებლობენ ხმის უფლებით.
6. ასოციაციის კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე დელეგატთა უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კანონით ან ასოციაციის წესდებით სხვა უმრავლესობა არ არის დადგენილი.
7. ასოციაციის კრების ჩატარებას ორგანიზაციას უწევს აღმასრულებელი საბჭო.
8. ასოციაციის კრების მოწვევისა და ჩატარების სხვა საკითხები დეტალურად მოწესრიგდება ასოციაციის წესდებით.

7. კანონის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილს დაემატოს შემდეგი “მ)” და “ნ)” პუნქტები:

“მ) დაამტკიცოს ასოციაციის სტრუქტურული დანაყოფების დებულებები, საკვალიფიკაციო კომისიის დებულება, ადვოკატთა სასწავლო ცენტრის საქმიანობის წესი.

“ნ) დაამტკიცოს ასოციაციის მომდევნო წლის ხარჯთაღრიცხვა, დაადგინოს დაქირავებულ პირთა ხელფასები, სამივლინებო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების საერთო ოდენობა”

8. კანონის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება:

“აღმასრულებელი საბჭოს წევრობის კანდიდატად შეიძლება დასახელდეს როგორც ასოციაციის კრების დელეგატი, ისე ასოციაციის სხვა წევრი”

9. კანონის 27-ე მუხლის 1-ლ ნაწილს დაემატოს შემდეგი შემდეგი შინაარსის წინადადება:

“ასოციაციის თავმჯდომარის კანდიდატად შეიძლება დასახელდეს როგორც ასოციაციის კრების დელეგატი, ისე ასოციაციის სხვა წევრი”.

10. კანონის 28-ე მუხლის 1-ლ ნაწილს დაემატოს შემდეგი შემდეგი შინაარსის წინადადება:

“ეთიკის კომისიის წევრობის კანდიდატად შეიძლება დასახელდეს როგორც ასოციაციის კრების დელეგატი, ისე ასოციაციის სხვა წევრი”.

11. კანონის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილს დამატოს შემდეგი შემდეგი შინაარსის წინადადება:

“სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატად შეიძლება დასახელდეს როგორც ასოციაციის კრების დელეგატი, ისე ასოციაციის სხვა წევრი”.

12. წინამდებარე კანონი ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. „ადვოკატთა კანონის“ ცვლილებების და დამატებების პროექტის წარდგენა პარლამენტისთვის.

აღმასრულებელი საბჭოს მიერ შემუშავდა ცვლილებების და დამატებების პროექტი.

2. დღის წესრიგის სხვა საკითხების ფორმულირება დაევალა ასოციაციის თავმჯდომარეს და შესაბამისად, გადაიღო მათი განხილვა.

აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება გადაწყდა ერთხმად, ღია კენჭისყრით.

გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ: კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), რუსუდან პიტავა, დავით ასათიანი, როინ მიგრიაული, ზურაბ ტაბიძე

კახაბერ ასლანიშვილი

თავმჯდომარე